დანართი 2

მრავალწლოვანი კულტურების ბაღის გაშენებისათვის განკუთვნილი ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის განსაზღვრისთვის საჭირო ანალიზების ჩამონათვალი

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი უნდა მოიცავდეს შემდეგი მახასიათებლებს:

ა) მექანიკური შედგენილობა
ბ) ორგანული ნივთიერებები (ჰუმუსი) (საერთო)
გ) pH - ნიადაგის ხსნარის რეაქცია (წყლის სუსპენზიაში)
გ) აზოტი
დ) ფოსფორი
ე) კალიუმი
ვ) შთანთქმული კათიონების კომპლექსი (Ca, Mg, Na)
თ) კარბონატობა ($CaCO_3$-ის საერთო შემცველობა);
ე) EC - ნიადაგის კუთრი ელექტროგამტარობა (მარილიანობა) (საზომი ერთეული - dS/m ან mS/cm).

- ზემოაღნიშნული მახასიათებლების შესახებ ჩატარებული ანალიზის შედეგები და გამოყენებული გამოცდის მეთოდები უნდა აისახოს ლაბორატორიის მიერ გაცემულ გამოცდის ოქმში.
- ანალიზის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ნიადაგის არანაკლებ ორი ფენიდან - 0 – 20 და 20 – 40 სმ-ზე, ან 0-30 და 30-60 სმ-ზე.
- ნიადაგის სინჯების აღება უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, დადგენილი მეთოდოლოგიის დაცვით, რაც უზრუნველყოფს ანალიზის რეპრეზენტატულობას მოცემული ნაკვეთის მიმართ და მიღებული შედეგების სიზუსტესა და სანდოობას.
- 5 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5.0 ჰა-იანი დანაყოფების შესაბამისი რაოდენობის ანალიზი, თითოეული დანაყოფის დანომვრით საკადასტრო რუკაზე, რომელიც უნდა დაერთოს ნიადაგის გამოცდის ოქმს, სადაც მიეთითება დანაყოფის ნომერი.